დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია მოსაშვილი, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ჯოვანა აბლოთია, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2022

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2, 0131, თბილისი, საქართველო
ვებ-გვერდი	https://ibsu.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	12/08/2018, გადაწყვეტილება 93
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	12/08/2024

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	42
ბაკალავრიატი	24
მაგისტრატურა	13
ერთსაფეხურიანი	
დოქტორანტურა	4
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	40
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			3500
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	2738	1011	4415
ბაკალავრიატი	2478	709	3372
მაგისტრატურა	187	213	846
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	58	86	130
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	14	4	67
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	148	206	663
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	2	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	437 (აკადემიური,მოწვეული. ადმინისტრაციული და დამხმარე)
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	89
– პროფესორი	25
– ასოცირებული პროფესორი	55
– ასისტენტ პროფესორი	7
– ასისტენტი	2
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
– მეცნიერი	0
– პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	65
– აფილირებული პროფესორი	17
– აფილირებული ასოცირებული პროფესორი	39
– აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**7**
– აფილირებული ასისტენტი	2
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	19
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	231
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	117

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	8572.64
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4037.75
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4534.89

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში 2022 წლის 30 სექტემბერს წარდგენილი განცხადების №1197451 და შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2022 წლის 9 ივლისის № 022/01/2203 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 01 ნოემბრის ბრძანების №1389423 თანახმად, შეიქმნა არაგეგმიური მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა განცხადებაში აღწერილი გარემოებების შესწავლა უსდ-ს ავტორიზაციის მე-3 და მე-5 სტანდარტებთან თავსებადობის მიზნით. კერძოდ, განცხადება №1197451 შეეხება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომების შეფასებას. განმცხადებელთა განმარტებით, მათი უკმაყოფილება შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შედეგებს და მიღებული შედეგის გასაჩივრების შეუძლებლობას. განცხადებას თან ერთვოდა 3 კურსდამთავრებულის ახსნა-განმარტებითი წერილები, ელექტრონული ფოსტის მიმოწერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ამასთანავე, უსდ-ს მიერ 2022 წლის 17 ოქტომბრის № 022/01/4098 წერილით წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია; ექსპერტთათვის მიწოდებული მასალების გაცნობის შემდეგ დადგინდა საჭიროება უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტაციის გამოთხოვის, რაც დროულად იქნა მოწოდებული.

2022 წლის 28 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განხორციელდა ვიზიტი. ინტერვიუ შედგა როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში შემოსული საჩივრის განცხადების ავტორებთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამატებით გარემოებები, რის საფუძველზეც დამატებით იქნა გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია, რაც წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მომჩივანთა განცხადებები, შეისწავლა გარემოებები, რომლებიც ასახული იყო ამ განცხადებებში, ასევე განიხილა დაწესებულების მიერ ამ საკითხებთან და საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებით წარმოდგენილი მასალა, ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაცია და წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა.
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2023 წლის 23 იანვრის წერილით №023/01/0197 წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით; არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება სრულად არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას და რიგ მათგანს მიიჩნევს რჩევად (მე-2,მე-3, მე-6 რეკომენდაციები), რასაც ექსპერტთა ჯგუფი ტოვებს რეკომენდაციად. ასევე, მაგალითად, მე-5, მე-8 რეკომენდაციების შესასრულებლად ვიზიტის შემდგომ დაწესებულების მიერ დაწყებულია ცვლილებები.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

X შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში (შეფასება გაკეთდა ცენტრში შემოსული საჩივრის საფუძველზე)

შეფასების განხორციელების თარიღი: 28.11.2022	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- სამაგისტრო ნაშრომების სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა განხორციელდეს სამაგისტრო სწავლების დებულების თანახმად.
- რეკომენდებულია, დისტანციურად კვლევით კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი/დისერტაცია) დაცვისთვის შემუშავებულ იქნას დაცვის რეგლამენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დისტანციური ფორმატის თავისებურებები
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეტი გამჭვირვალობისა და სანდოობისთვის, დაცვის კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ განისაზღვროს დამატებით 1 მოწვეული პირი
- რეკომენდებულია, სტუდენტებთან კომუნიკაცია/კონსულტაციის გაწევის პროცესში ჩართული პოზიციაზე ახლად დანიშნული პირის/პირების სტუდენტებისთვის ფორმალური წარდგენა (საინფორმაციო შეხვედრა), ფუნქციების გაცნობა მოხდეს დროულად და გაძლიერდეს კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელთა კომუნიკაცია;
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობისა და სტუდენტთა მიერ საკუთარი გასაუმჯობესებელი მხარეების მეტად ინფორმირების მიზნით, რეკომენდებულია იბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ნაშრომის შეფასების შეყვანა განხორციელდეს დეტალიზებულად - შეფასების კომპონენტების მიხედვით.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა დასამტკიცებლად წარდგენილ იქნას არა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, არამედ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- რეკომენდებულია, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს/მიეწოდოს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის განმავითარებელი (ქულის გარეშე) წერილობითი შეფასება
- რეკომენდებულია, მიეცეს სტუდენტს შესაძლებლობა, არგუმენტირებული განაცხადის საფუძველზე, გაასაჩივროს კომისიური წესითაც შეფასებული ნაშრომი ან ნაშრომის დაცვის რეგლამენტი, თუ მიიჩნევს, რომ ის დარღვეულია.

რჩევები

- სასურველია, უნივერსიტეტმა გონივრულ ვადაში მოახდინოს კურსდამთავრებულთა მყისიერი ინფორმირება მათი დიპლომის მზადყოფნის თაობაზე.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ქეთევან აფთარაშვილი (თავმჯდომარე)
2. ია მოსაშვილი (წევრი)
3. ჯოვანა აბლოთია (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები[4]; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები:

[4] ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები,ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შზსუ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია, რომელიც განახლებულია 2022 წლის სექტემბერში და არეგულირებს უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესს. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების წესი ამ დოკუმენტის მე-5 თავშია მოცემული. განსაზღვრულია პროგრამის შემადგენელი ნაწილები, შეფასება, პროგრამის ცვლილება და გაუქმება, საქართველოში მოქმედი რეგულაციების თანახმა. ამ წესის მიხედვით, პროგრამების შემუშავება ეფუძნება ბაზრის მოთხოვნებს. წარმოდგენილია შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის ამსახველი დოკუმენტები. სხვა უნივერსიტეტებთან ერთად დადებული ხელშეკრულების თანახმად, 2019 წელს მათ დაკვეთილი ჰქონდათ ბაზრის კვლევა. გამოკითხვა ჩატარებულია 1200 რესპოდენტზე. პროგრამების მიხედვით წარმოდგენილია ბაზრის კვლევისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი. წარმოდგენილი გამოკითხვების მასალების მიხედვით, ასევე, ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ჩართული არიან პროგრამების შემუშავება/გადამუშავების პროცესში. დარგობრივი დოკუმენტების თანახმად, ბოლო დროს ცვლილებები შევიდა ამერიკისმცოდნეობის, ტურიზმის და კომპიუტერული მეცნიერების პროგრამებში, კერძოდ, 2011 წელს იყო შემუშავებული ამერიკისმცოდნეობის პროგრამა, რომელსაც 2024 წელს უწევდა კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა, თუმცა პროგრამის შემუშავების ჯგუფმა უკვე გააკეთა ცვლილებები, კერძოდ, დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები, გამდიდრდა განმახორციელებელი პერსონალით, ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები შესაბამისი გზით, გადაიხედა და შეიცვალა მანამდე არსებული კონცენტრაციები. კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში დაემატა ერთი სავალდებულო კურსი დარგობრივი მოთხოვნების შესაბამისად. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში გამოკითხვებზე დაყრდნობით შეიცვალა საგნები. ეს გამოკითხვები (სასწავლო კურსის შეფასებისათვის) კი ტარდება წელიწადში 5-ჯერ. ასევე, ჩატარებულია კურსდამთავრებულთა კვლევა მათი დასაქმების მაჩვენებლების დასადგენად. წარმოდგენილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ამსახველი მასალა, ასევე, პროგრამების განსაზღვრულ ვადაში დასრულებისა და განთესვის მონიტორინგის შედეგები, რაც ლოგიკურად გამოიყურება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ფაქტი, რაც მომჩივანი კურსდამთავრებულების მიერ აღინიშნა, კერძოდ, ის, რომ დიპლომების გაცემა ხდება ხოლმე დაგვიანებით და მათ შორის ერთ-ერთი მომჩივანი კურსდამთავრებულის დიპლომი, რომელიც ამავე უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზეც სწავლობდა, გაიცა დაგვიანებით. აღნიშნულის დადასტურება ექსპერტების მხრიდან შეუძლებელია, რამეთუ, არსებული რეგულაციის თანახმად, კერძოდ, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის'' მიხედვით, დიპლომები ინახება უვადოდ და ნებისმიერ დროს შეუძლია კურსდამთავრებულს, მიმართოს უნივერსიტეტს და აიღოს დიპლომი. ამასთანავე,

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დიპლომისა და მისი დანართის დამზადების პროცესი ავტომატიზებულია. კერძოდ, SIS სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა და სასწავლო პროცესის მართვის სისტემა იძლევა საშუალებას, რომ დიპლომის დანართი ამოიბეჭდოს ავტომატურად ბაზიდან, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ეხმარება დაწესებულებას დიპლომისა და მისი დანართის გაცემა მოხდეს გონივრულ დროში ეფექტიანად. ასევე, ინტერვიუს დროს სხვა კურსდამთავრებულებს არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება დიპლომის გაცემის ვადებთან დაკავშირებით; დაწესებულების მიერ კი განიმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციის დონეზე წინასწარ არ არის განსაზღვრული დიპლომის გაცემის ვადები, პრაქტიკულ ვადად განსაზღვრული აქვთ არაუმეტეს 6 თვე, ხოლო მომართვიანობის შემთხვევაში ხდება დაჩქარებული ვადითაც მომზადება/გაცემა. როგორც გამოკითხვებიდან ჩანს, და ასევე ინტერვიუებიდან ირკვევა, კურსდამთავრებულები მეტწილად დასაქმებულნი არიან სპეციალობით, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დასაქმებაში უნივერისტეტმა შეუწყო ხელი, ასევე, პერიოდულად კითხულობს მათ კარიერული განვითარების შედეგებს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგების თანახმად (2019-2022 წლების მონაცემების თანახმად), რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი სემესტრის ბოლოს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ტარდება, პროგრამების მიხედვით წარმოდგენილია ანალიზის დოკუმენტი. სემესტრის დასრულებისას ხდება სტუდენტთა შეფასების გადანაწილების ანალიზი და როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, შედეგები გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის კოორდინატორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების წესი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარები და მათი ანალიზი;
- მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამები და სილაბუსები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემები;
- პროგრამების განსაზღვრულ ვადაში დასრულებისა და განთესვის მონიტორინგის შედეგები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა გონივრულ ვადაში მოახდინოს კურსდამთავრებულთა მყისიერი ინფორმირება მათი დიპლომის მზადყოფნის თაობაზე.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: იბსუ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამები შემუშავებულია საქართველოში მოქმედი კანონის მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციაში სამივე საფეხურის პროგრამებისათვის არის წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ასევე წარმოდგენილია მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, თითოეული საფეხურისთვის პროგრამის სწავლის შედეგები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, წელიწადში - 60 ECTS კრედიტს, სემესტრში - 30 ECTS კრედიტს, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, წელიწადში - 60 ECTS კრედიტს, სემესტრში - 30 ECTS კრედიტს, ხოლო სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არაუმეტეს 60 ECTS კრედიტს სასწავლო კომპონენტს და პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი. ყველა პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, რაც შესაბამისად გაწერილია თითოეული პროგრამისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის სხვა შემადგენელი ნაწილები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციაში. ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროგრამები და სილაბუსები, გადაიხედა მათი სტრუქტურა, შეფასდა სწავლის შედეგები, რამდენად არიან ისინი მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი. ზოგიერთი პროგრამისთვის უკვე განხორციელდა ცვლილებები დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, მაგალითად, კომპიუტერული მეცნიერების პროგრამისათვის, ისევე, როგორც კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან თანხვედრის მიზნით ცვლილებები განიცადა ამერიკათმცოდნეობის პროგრამამ. წარმოდგენილი პროგრამები იძლება არჩევითი საგნების არჩევის შესაძლებლობას. პროგრამების კატალოგი განთავსებულია უნივერსიტეტის საიტზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის, რაც შეეხება აკადემიურ კალენდარს, სხვა საჭირო მასალასთან ერთად სტუდენტებს მიეწოდებათ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმებით, მაგალითად, SMART. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმა საჭიროებს მეტ სიცხადეს სამაგისტრო პროგრამების ნაწილში, კერძოდ, სამაგისტრო თემის შერჩევა ხდება მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი შესთავაზებს სტუდენტებს ხელმძღვანელთა სიას. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ აირჩიონ ხელმძღვანელი და მისი გაეცნონ მის სამეცნიერო კვლევის არეალს. როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, თუ საერთო ინტერესები არ გამოიკვეთა, მოხდება სხვა ხელმძღვანელთან გადასვლა. სამაგისტრო ნაშრომის დებულებების თანახმად, ნაშრომის სათაური და ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობა მტკიცდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოს მიერ, სემესტრის დასაწყისში. ნაშრომის სათაურისა და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება შემდეგი პროცედურების შესაბამისად: - პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოსთან შეთანხმებით, ამზადებს მიმართულების/დარგის/ზოგადი სათაურებისა და შესაბამისი შესაძლო ხელმძღვანელების სიას; - სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული სიის ხელმისაწვდომობას მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; -სტუდენტი (ხელმძღვანელთან/ თანახელმძღვანელთან ერთად) იღებს გადაწყვეტილებას და სამაგისტრო და სადოქტორო სკოლას მიმართავს განცხადებით ხელმძღვანელისა და ნაშრომის სათაურის არჩევის შესახებ. - პროგრამის ხელმძღვანელს სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის მიერ წარედგინება სტუდენტების მიერ არჩეული ნაშრომის სავარაუდო სათაურებისა და შესაბამისი ხელმძღვანელების სავარაუდო სია; - პროგრამის ხელმძღვანელი აფასებს ზემოაღნიშნულ სიას; - ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მტკიცდება სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის საბჭოზე. ინტერიუებიდან კი (როგორც სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან) ჩანს, რომ ეს პროცესი ზუსტად არ მიჰყვება ზემოთ აღნიშნულ სქემას და

სტუდენტებმა საწყის ეტაპზე არ იციან სავარაუდო საკვლევი თემატიკები. ისინი ირჩევენ ჯერ ხელმძღვანელს, შემდგომ ის მათ სთავაზობს თემებს და ამის შემდეგ ხება თემის შერჩევა. აღნიშნული საკითხი საჭიროებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის ნაწილში მეტ სიცხადეს.

იბსუ-ს ჩატარებული აქვს გამოკითხვები პროგრამების კმაყოფილებასთან დაკავშირებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან. გაკეთებულია მათი ანალიზიც და რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულია მათი სურვილები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულია გამოკითხვა საბაკალავრო ნაშრომზე და კვლევით კომპონენტზე დარეგისტრირებული სტუდენტებისათვისაც (2021-22 აკადემიურ წელს გამოკითხვაში მონაწილეობა 51-მა სტუდენტმა მიიღო). გაკეთებულია მისი ანალიზიც პროგრამების მიხედვით და გაიცა რეკომენდაციები პროგრამის ხელმძღვანელებისათვის (იხ. 5.2 ნაწილის აღწერა), შემდგომ გადამოწმდა მათი შესრულების პროცესი.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მეთოდოლოგია, რაც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის/სკოლის საბჭო, სტუდენტის და/ან შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო მას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის სამსახურთან ერთად. წარმოდგენილია სამართლის ფაკულტეტის ნიმუშები და ინტერვიუს დროსაც დადასტურდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაბამისი პირების ჩართულობით. ასევე, უნდა აღინიშნოს, იბსუ-ს მიერ შემუშავებული დისტანციური სწავლების გზამკვლევი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- პროგრამები და სილაბუსები;
- ვებ-გვერდი;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- გამოკითხვების შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები;
- დისტანციური სწავლების გზამკვლევი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომების სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა განხორციელდეს სამაგისტრო სწავლების დებულების თანახმად.

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

იბსუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 36 და 37-ე მუხლები); სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ბოლო ცვლილება შევიდა 2022 წლის 19 სექტემბერს და შეფასების სისტემის ნაწილშიც ასახულია მინისტრის N3 ბრძანებაში შესული ბოლო ცვლილებები. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები არის ვალიდური, კერძოდ შერჩეულია სტუდენტის ცოდნის შეფასების ადეკვატური შეფასების ფორმები და მეთოდები;

ასევე, იბსუ-ს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც, გამოიყენება ა) სასწავლო კურსის შეფასების კითხვარები სტუდენტებისთვის, ბ) სასწავლო კურსის შინაარსის შეფასება პროგრამის კოორდინატორისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ გ) სტუდენტის მიერ ყველა სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების გაანალიზება; დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულები, რომლითაც დასტურდება სწავლის შედეგების შეფასების შემუშავებული მექანიზმის პრაქტიკულად გამოყენება/განხორციელება.

რაც შეეხება სტუდენტის შეფასებას სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში, სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით 2022 წლის 30 სექტემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა სამი კურსდამთავრებულის სააპელაციო განაცხადი. კერძოდ, განცხადების ავტორების აპელაცია შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასა და აპელაციის პროცედურებს.

იბსუ-ს ,,სამაგისტრო სწავლების დებულებაში'' გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები. კერძოდ, 2022 წლის 13 ივნისს განახლებული სამაგისტრო ნაშრომის დებულების შესაბამისად (რომლის მიხედვითაც შეფასდნენ სააპელაციო განაცხადის ავტორები), აპელაციის ავტორთა ნაშრომები დაცვაზე დაიშვა მხოლოდ სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის/დადებითი დასკვნის საფუძველზე, რის შემდეგადაც ნაშრომი გაეგზავნა რეცენზენტს, რომელიც იყო დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. რეცენზენტების დანიშვნისას დაცულ იქნა მისი შერჩევის/დანიშვნის პროცედურები, რომელიც დეტალურად გაწერილია ამავე დებულების 15[2] მუხლში. ვინაიდან რეცენზენტის შეფასება იყო დადებითი, ნაშრომები დაშვებულ იქნა დაცვაზე. ამასთან, აღსანიშნია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოიცავს აქტუალობის, კვლევის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის, სიახლის, საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმისა და დასკვნების ორიგინალობის, კვლევის შედეგების დამაჯერებლობის, იბსუ-ს მიერ დადგენილი ფორმატთან შესაბამისობის შეფასებასა და დაცვაზე დაშვების, დამატებით კომენტარების/რეკომენდაციების ველებს. რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურადაა გაწერილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფორმის მიხედვით რეცენზენტს საშუალება ჰქონდა სამაგისტრო ნაშრომის ავტორების ნაშრომებზე წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით მხოლოდ რადიკალური პოზიცია - ,,დიახ'' ან ,,არა'' პასუხი დაეფიქსირებინა, ხოლო კომენტარების ველში კი ძირითადად წარმოდგენილ იქნა შეკითხვები სამაგისტრო ნაშრომების ავტორთან; შესაბამისად, რეცენზიებში ნათლად და დეტალიზებულად ვერ იქნა იდენტიფიცირებული ნაშრომის დადებითი თუ

გასაუმჯობესებელი/პრობლემური მხარეები, რაც შემდგომ უკვე ნათლად და დეტალურად გამოიკვეთა სააპელაციო განაცხადის შემდგომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ მომზადებულ დეტალურ უკუკავშირში. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 19 სექტემბერს და ცვლილება შეეხო რეცენზენტის შეფასების ფორმასაც, სადაც უკვე დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ქულის გარეშე და ქულობრივი შეფასების ფორმები; ქულის გარეშე რეცენზენტის შეფასების ფორმა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ნაცვლად დიახ/არა პასუხებისა, მოიცავდა შეფასებებს: ვეთანხმები, მეტწილად ვეთანხმები, ნაწილობრივ ვეთანხმები, არ ვეთანხმები, ხოლო ქულობრივი შეფასების ფორმის მიხედვით კი განსაზღვრულ იქნა თითოეული კრიტერიუმის შესატყვისი ქულა. დაწესებულების მიერ რეცენზენტის შეფასების რუბრიკასთან დაკავშირებული ცვლილებები დადებითი პროგრესიაა. ამასთანავე, აღსანიშნია, რომ სააპელაციო განაცხადის ავტორთა განმარტებით, რეცენზენტთა შეფასებები წერილობითი ფორმით მათთვის არ ყოფილა მიწოდებული დაცვამდე, რასაც სხვა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიც ადასტურებს, თუმცა დასტურდება ისიც, რომ დაცვას ესწრებოდა რეცენზენტი და დაცვის დროს დასმულ იქნა რეცენზენტის შეფასებაში წარმოდგენილი კითხები/კომენტარები; მნიშვნელოვანია სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ მეტად ინფორმირებულობის მიზნით, მისთვის ხელმისაწვდომი იყოს/მიეწოდოს რეცენზენტის წერილობითი შეფასებაც;

რაც შეეხება კომისიის შემადგენლობას, რომელმაც შეაფასა სააპელაციო განაცხადის ავტორების სამაგისტრო ნაშრომები, იგი დამტკიცებულ იქნა სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის 2022 წლის 30 ივნისის საბჭოზე (ოქმი 22); აღსანიშნია, რომ კომისიის წევრები ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე (სამაგისტრო დებულება მუხლი 16.1) და პროცესების ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, მნიშვნელოვანია შემადგენლობა წარადგინოს პროგრამის ხელმძღვანელმა და არა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა. 2022 წლის 13 ივნისს განახლებული სამაგისტრო ნაშრომის დებულების მე-16 მუხლის შესაბამისად, კომისიის შემადგენლობა უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალისგან, ამასთან ნაშრომის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი. ამდენად, 2022 წლის 30 ივნისის #22 ოქმში დაცულია უსდ-ში მოქმედი კომისიის დაკომპლექტების წესი, ხოლო შეფასება განხორციელდა კომისიის მიერ ერთჯერადად, მაქსიმუმ 100 ქულიანი შეფასების სისტემით, რაც შეესაბამებოდა იმ ეტაპზე მოქმედ როგორც შიდა რეგულაციას, ასევე მინისტრის #3 ბრძანებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მომჩივან კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვის შეფასების უწყისები, სადაც წარმოდგენილია თითოეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასებები და ჩანს, რომ სამი მომჩივანი სტუდენტის შემთხვევაში, კომისიის 2 წევრის მიერ გაცემულ იქნა დამაკმაყოფილებელი (D) ან საკმარისი (E)შეფასება, ხოლო კომისიის 1 წევრის მიერ ძალიან კარგი (B) შეფასება და სწორედ იმ ორი კომისიის წევრის მიერ გაცემულ შეფასებას არ ეთანხმებოდნენ სააპელაციო განაცხადის ავტორები. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კომისიის წევრების შეფასებაში არის ქულობრივად დიდი სხვაობა (მაგალითად, როდესაც სტუდენტი ორი შემფასებლის მიერ ფასდება მსგავსი 54 და 66 ქულით, ხოლო მესამე შემფასებლის მიერ გაცემული შეფასება რადიკალურად განსხვავდება ორისგან და არის 90 ქულა); ეს ფაქტიც მიანიშნებს კომისიის დაკომპლექტების წესში ცვლილებების განხორციელების საჭიროებას ან/და კომისიური წესით შეფასებული ნაშრომების აპელაციის შესაძლებლობის გაჩენას, რაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, არ არის დაშვებული (40[1]7. ,,გასაჩივრებას არ ექვემდებარება კომპონენტი, რომელიც ფასდება კომისიური წესით’), თუმცა დაწესებულება განიხილავს ცვლილების საკითხს. მართალია, სააპელაციო განაცხადის ავტორების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ მათ ნამდვილად მიიღეს კომისიის იმ წევრების უკუკავშირი, რომელთა დაბალი შეფასებებიც გააპროტესტეს, თუმცა ამის შემდგომ მაინც გადაწყვიტეს აპელაციით მიემართათ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის, ვინაიდან როგორც ინტერვიუს დროს ირკვევა, აღნიშნული უკუკავშირიც არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან სამივე მომჩივანისთვის გაცემული უკუკავშირი წარმოადგენდა ერთმანეთის კოპირებას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სააპელაციო განაცხადის შემდგომ კომისიის წევრების მიერ გაცემული წერილობითი არგუმენტირებული უკუკავშირები, სადაც დეტალურად და ნაშრომის შესაბამისად ინდივიდუალურად არის გაცემული განმარტებები, თუმცა უკუკავშირში აღნიშნულია ისიც, რომ რიგ შემთხვევაში დაშვებულია მსგავსი/ტიპური შეცდომებიც, რაც ლოგიკურიცაა და ეს არ ადასტურებს, რომ სამივე უკუკავშირი ერთმანეთის კოპირებას წარმოადგენდეს. მეტიც, ერთ-ერთ უკუკავშირში აღნიშნულია, რომ ნაშრომის შესავალი ნაწილი ციტირების გარეშეა აგებული და ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილშიც ჩანს დამოწმების პრობლემები, რაც აჩენს პლაგიატთან დაკავშირებით ეჭვებსაც კი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ და დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს

ანტიპლაგიატის პროგრამა (strikeplagiarism) და ნაშრომების შემოწმებაც ხდება, თუმცა ამ მიმართულებით გარდა პროგრამისა, მნიშვნელოვანია ადამიანის ფაქტორის (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, კომისია) გაძლიერება. აღსანიშნია, რომ დაცვა დისტანციურად განხორციელდა და აპელაციის ავტორებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დაცვაზე დაგვიანებით შესვლის, კამერის გამორთულ მდგომარეობაში ქონის ფაქტები. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური სწავლების გზამკვლევი, სადაც განსაზღვრულია, რომ სტუდენტს მოეთხოვება კამერის ჩართვა, თუმცა იგივე არ ვრცელდება გამომცდელზე/კომისიის წევრზე. მნიშვნელოვანია მეტი გამჭვირვალობის/სანდოობისთვის, დისტანციურად დაცვის შემთხვევისთვის შემუშავდეს დაცვის რეგლამენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება აღნიშნული ფაქტები.

2022 წლის 19 სექტემბერს განახლებულ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა მინისტრის მე-3 ბრძანებით 2022 წლის 1 ოქტომბრამდე განსახორციელებელ ცვლილებებთან, შეცვლილია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი. კერძოდ, ნაშრომი შეფასდება ნაშრომის ხელმძღვანელის (30 ქულა), რეცენზენტის (33 ქულა) და კომისიის (37 ქულა) მიერ და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, მოცემულია შესაბამისი რუბრიკები. კომისიის შემადგენლობა ნაწილში კი შესულია მხოლოდ ის ცვლილება, რომ დაკონკრეტებულია კომისიის მინიმუმ 3 წევრიდან ერთი არის რეცენზენტი (რომელიც შესაძლოა იყოს ისევ იბსუ-ს აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი) და აღარ არის პროგრამის ხელმძღვანელის კომისიის წევრობა სავალდებულოდ განსაზღვრული. ხოლო კომისიის არარეცენზენტი წევრიდან კი შესაძლოა 1 წევრი ასევე იყოს მოწვეული, თუმცა არა სავალდებულოდ. იმის გათვალისწინებით, რომ რეცენზენტიც შესაძლოა იყოს იბსუ-ს აკადემიური პერსონალი და კომისიის სხვა წევრებიდან არცერთი იყოს მოწვეული პირი, მნიშვნელოვანია შეფასების მეტი გამჭვირვალობისა და სანდოობისთვის განისაზღვროს მოწვეული პირის შეფასების პროცესში სავალდებულოდ ჩართვა.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით დგინდება, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ; თუმცა უნდა აღინიშნოს, აპელაციის ავტორებთან ინტერვიუც, რომლის დროსაც აღნიშნულ იქნა, რომ შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მიღებული ქულების შესახებ ინფორმაცია მიიღეს მას შემდეგ, რაც მათ მიერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა, ხოლო სტუდენტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შეფასების ასახვა ხდება ჯამურად. იმისთვის, რომ სტუდენტი მეტად იყოს ინფორმირებული გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ და შეფასებაც გამჭვირვალედ განხორციელდეს, მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაშიც შეფასების სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეტანა მოხდეს კომპონენტების მიხედვით.

სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად კი (პუნქტი 40[1].7-ის) როგორც ზემოთ აღინიშნა, „გასაჩივრებას არ ექვემდებარება კომპონენტი, რომელიც ფასდება კომისიური წესით“

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ინტერვიუს შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სააპელაციო განცხადება
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- სამაგისტრო სწავლების დებულება
- სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის ოქმი 22 (30.06.2022)
- სამაგისტრო ნაშრომების საჯაროდ დაცვის შეფასების უწყისები
- ანტიპლაგიატის პროგრამაზე გაფორმებული ხელშეკრულება
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- დისტანციური სწავლების გზამკვლევი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დისტანციურად კვლევით კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი/დისერტაცია) დაცვისთვის შემუშავებულ იქნას დაცვის რეგლამენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დისტანციური ფორმატის თავისებურებები

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეტი გამჭვირვალობისა და სანდოობისთვის, დაცვის კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ განისაზღვროს დამატებით 1 მოწვეული პირი
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობისა და სტუდენტთა მიერ საკუთარი გასაუმჯობესებელი მხარეების მეტად ინფორმირების მიზნით, რეკომენდებულია იბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ნაშრომის შეფასების შეყვანა განხორციელდეს დეტალიზებულად - შეფასების კომპონენტების მიხედვით.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა დასამტკიცებლად წარდგენილ იქნას არა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, არამედ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- რეკომენდებულია, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს/მიეწოდოს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის განმავითარებელი (ქულის გარეშე) წერილობითი შეფასება
- რეკონდებულია, მიეცეს სტუდენტს შესაძლებლობა, არგუმენტირებული განაცხადის საფუძველზე, გაასაჩივროს კომისიური წესითაც შეფასებული ნაშრომი ან ნაშრომის დაცვის რეგლამენტი, თუ მიიჩნევს, რომ ის დარღვეულია

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციების კომპლექტი - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების თაობაზე. აღნიშნული წესები გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და მოცემულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. ამასთანავე, აღსანიშნია, რომ სტუდენტის განცხადების ფორმებიც ორიენტირებულია სტუდენტზე და განცხადების ფორმაში დამატებით არის განმარტებული ის საკვანძო პუნქტები, რაც უნდა იცოდეს სტუდენტმა სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა თუ აღდგენის შემთხვევებში. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა გზამკვლევი როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის და არის ინფორმატიულიც და ხელმისაწვდომიც. კურსდამთავრებულთა საჩივრის განცხადებაში აღნიშნული იყო 2020 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომის გატანასთან დაკავშირებული გარემოება და ასევე, აპელაციის ავტორები გამოხატავენ უკმაყოფილებას კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიების ორგანიზებაზე. დიპლომის დაგვიანებით გატანა არ არის დაკავშირებული კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების შეფერხებასთან, ამასთანავე, კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ დიპლომისა და მისი დანართის მომზადება დაწესებულების განმარტებით ხდება არაუგვიანეს 6 თვისა ან მიმართვის შემთხვევაში დაჩქარებულ ვადებში, ხოლო ის ფაქტი, რომ დანართების ბეჭდვა ხორციელდება ავტომატურად სასწავლო პროცესის მართვის ბაზიდან, მომზადების პროცესის ვადებს კიდევ უფრო ამცირებს. მნიშვნელოვანია დამზადებული დიპლომების შესახებ ინფორმაცია დროულად მიეწოდოს კურსდამთავრებულებს (იხ. სტანდარტი 3.1-ის აღწერილობითი და რჩევის ნაწილი); რაც შეეხება კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიებას, პანდემიის გამო 2020, 2021 და 2022 წლის კურსდამთავრებულთა ღონისძიება ერთდროულად 2022 წლის 15 ივლისს გაიმართა, სადაც მოხდა დიპლომების გადაცემა და მიწვეულები იყვნენ სააპელაციო განაცხადოს ავტორებიც (ელ-ფოსტა, 5 ივლისი, 2022), თუმცა მათთვის კვალიფიკაციის მინიჭება 2022 წლის 26 აგვისტოს მოხდა და ლოგიკურია დიპლომების გადაცემაც ვერ მოხერხდებოდა და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არ ფიქსირდება სტუდენტთა უფლებების დარღვევა. უნივერსიტეტის ვებგვერდის (https://ibsu.edu.ge/ge/) განლაგება ძალიან მკაფიოა და მომხმარებლის ინტერფეისი საშუალებას იძლევა მოპოვებულ იქნეს ყველა საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა თემებზე

ყოველგვარი სირთულის გარეშე. იგივე წესი, ასევე, აყალიბებს სტუდენტის სტატუსს, უფლებებსა და ვალდებულებებს, უნივერსიტეტის ოფიციალური დოკუმენტაციით (სტუდენტთა ხელშეკრულება, ეთიკის კოდექსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ დაწესებულება განუმარტავს სტუდენტებს უფლება-მოვალეობებს და ისინი იცნობენ საკუთარ უფლება-მოვალეობებს.

იბსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა საჩივრების განხილვის მექანიზმები. კერძოდ, ,,გამოცდის ჩატარების წესითა'' და ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' 40[1] მუხლით განსაზღვრულია მიღებული შეფასების გასაჩივრების პროცედურები. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები. ამავე მუხლში მოცემული პუნქტი 40[1].7-ის თანახმად, „გასაჩივრებას არ ექვემდებარება კომპონენტი, რომელიც ფასდება კომისიური წესით"; განცხადების ავტორთა საჩივრის ერთი ნაწილი შეეხებოდა სწორედ აპელაციის პროცედურას. კერძოდ, განცხადების ავტორთა მიერ აღინიშნა, რომ მათი მიერ ვერ მოხერხდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების აპელაცია. მათ იბსუ-ს 2022 წლის 27 ივლისს მიმართეს დაწესებულებას სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასების გადახედვის მოთხოვნით, რაზეც ელ-ფოსტის მიმოწერაც ადასტურებს, რომ 3 აგვისტოს მიიღეს დროული უკუკავშირი მოქმედი რეგულაციების შესახებ და ამასთანავე, დაწესებულებამ სამივე მომჩივან სტუდენტს მიაწოდა ინდივიდუალური დეტალური წერილობითი უკუკავშირი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის იმ კომისიის წევრებისგან, რომელთა შეფასებებიც საჩივრდებოდა. დადებითია ის ფაქტი, რომ მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებამ უზრუნველყო დეტალური უკუკავშირი, ხოლო რაც შეეხება კომისიური წესით აპელაციის შეზღუდვას, ინტერვიუს დროს გამოირკვა, რომ დაწესებულებას აქვს მსჯელობა ცვლილების შესახებ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის შემადგენლობას უცხადებენ მაღალ ნდობას, ჯერჯერობით არ განუხორციელებიათ ცვლილება, თუმცა განხორციელებული შეფასებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის აზრით მნიშვნელოვანია გადაიხედოს აპელაციის ან/და შემფასებელი კომისიის დაკომპლექტების წესი (იხ. 3.3 სტანდარტის აღწერა და რჩევა)

რაც შეეხება პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებულ საჩივრებსა და პროცედურებს გაწერილია ეთიკის კოდექსით, რომლის თანახმად (მუხლი 2.9), ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ფაკულტეტის დეკანთან ერთად განიხილავს დარღვევის ფაქტს. დარღვევის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, შესაბამისი კომისიის შექმნის თაობაზე, რომლის შემადგენლობაში რექტორის მიერ განსაზღვრულ პირებთან ერთად უნდა შედიოდნენ დარგის სპეციალისტები როგორც უნივერსიტეტის პერსონალიდან (ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით), ისე გარედან მოწვეული პირები.

ვიზიტისას სტუდენტებთან შეხვედრაზე, ჯგუფმა მოისმინა იმის მაგალითები, თუ როგორ რეაგირებს ინსტიტუცია შიდა რეგულაციების ფარგლებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროების არსებობის შემთხვევებში. სამივე საფეხურის სტუდენტებთან შეხვედრებზე, ერთხმად აღნიშნავდნენ უნივერსიტეტში მეგობრული გარემოს უპირატესობებს. საკუთარი უფლებების თაობაზე ინფორმაციას ფლობდნენ, როგორც არაფორმალური ასევე ფორმალური წყაროებიდან და მკაფიო წარმოდგენა ჰქონდათ მათთვის არსებული მექანიზმებისა და პროცედურების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- უსდ-ის ვებ გვერდი ibsu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტთა განცხადების ფორმები
- სტუდენტთა გზამკვლევი
- გამოცდის ჩატარების წესი
- ეთიკის კოდექსი
- სტუდენტთა ხელშეკრულების ნიმუშები

- საჩივრის განცხადებები და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. სტუდენტს შეუფერხებლად მიეწოდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება, როგორც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური პერსონალის მხრიდან. ხშირ შემთხვევაში სტუდენტები ინფორმაციას იღებენ ელექტრონულად ელექტრონული ფოსტის, სტუდენტური პლატფორმების https://sis.ibsu.edu.ge/ და https://smart.ibsu.edu.ge/ მეშვეობით.

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებსა და სასწავლო გეგმაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჩივრის ავტორებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათ პროგრამის ხელმძღვანელთან კომუნიკაციის მიმართულებითაც ჰქონდათ გამოწვევა , რაც როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ აღნიშნულ პოზიციაზე ხელმძღვანელი ახლალდანიშნული იყო და მათ შორის ვერ შედგა დროული და აქტიური კომუნიკაცია; ამასთანავე, დამატებით აღსანიშნია, რომ იბსუ-ს მიერ ჩატარებულია

გამოკითხვა საბაკალავრო ნაშრომზე და კვლევით კომპონენტზე დარეგისტრირებული სტუდენტებისათვისაც (2021-22 აკადემიურ წელს გამოკითხვაში მონაწილეობა 51-მა სტუდენტმა მიიღო). გამოკითხვის შედეგებით, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა კომენტარებში ან დახურულ კითხვებში, იკვეთება რიგ ხელმძღვანელთან რეგულარული კომუნიკაციის ნაკლებობა; სააპელაციო განაცხადის ავტორებს აღნიშნული აქვთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პრობლემაც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ მათი მიმართვის შემდგომ დროულად მოახდინა უკუკავშირი, რაც დასტურდება არაერთი ელ-ფოსტით და ამავდროულად, კომისიის წევრების დეტალური უკუკავშირის წარდგენით, ასევე დაწესებულების მიერ განიმარტა, რომ ისინი მომჩივან სტუდენტებს არაერთხელ შეხვდნენ და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს პროცედურების შესახებ; აღსანიშნია ისიც, რომ სხვა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს არ დაფიქსირებული კონსულტაციების გაწევასთან ან კომუნიკაციასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა.

უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის (ibsu.edu.ge) მეშვეობით ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. უნივერსიტეტის მიერ პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამებით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა საგანმანათლებლო და აკადემიურ აქტივობებში ჩართვის. ისინი ინფორმირებულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და კვლევების შესახებ. ასევე, აქვთ ხელმისაწვდომობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სტაჟირებაზე. ინსტიტუციისთვის ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს, რაც დასტურდება განხორციელებული და დაგეგმილი საერთაშორისო პროგრამებითა თუ სხვადასხვა პროექტებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლისგან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, მუდმივ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან. მათ შორის, ლექტორთა დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საკონსულტაციო დატვირთვა. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს.

უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა ურთიერთობისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურები. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აღნიშნული სამსახურები მუდმივად აწვდიან სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან, ვაკანსიებთან დაკავშირებით;

შზსუ-ს კარიერული მხარდაჭერის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კარიერის დაგეგმვის სამსახური ხელს უწყობს დამსაქმებელთა ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელებას;

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთან ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც რეგულირდება "სტიპენდიების და ფასდაკლებების დებულებით". ასევე დაწესებულებას აქვს "შიდა გრანტების გაცემის წესი", რომლის ფარგლებშიც შიდა დაფინანსება (გრანტი) შეიძლება გაიცეს სამეცნიერო, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, კულტურული, სპორტული,

საქველმოქმედო და სხვა სახის აქტივობების დასაფინანსებლად. ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს დაფინანსების მნიშვნელობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სტიპენდიების და ფასდაკლებების დებულებით ● უსდ-ის ვებ გვერდი ibsu.edu.ge ● სტუდენტური პლათფორმები https://sis.ibsu.edu.ge/ და https://smart.ibsu.edu.ge/ ● ინტერვიუს შედეგები ● შიდა გრანტების გაცემის წესი ● იბსუ-ს გამოკითხვების შედეგები და ანალიზის დოკუმენტები; ● ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ● საჩივრის განცხადება და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, სტუდენტებთან კომუნიკაცია/კონსულტაციის გაწევის პროცესში ჩართული პოზიციაზე ახლად დანიშნული პირის/პირების სტუდენტებისთვის ფორმალური წარდგენა (საინფორმაციო შეხვედრა), ფუნქციების გაცნობა მოხდეს დროულად და გაძლიერდეს კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელთა კომუნიკაცია;
რჩევები: –
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1						
2						
3						
4						
5						